



კონკურსი – „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014“

⇒ კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია და სტუდენტების აქტიური ჩართვა სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში.

⇒ სოციალური საწარმო:

სოციალური საწარმო გახლავთ ბიზნეს პრინციპებით მოქმედი საწარმო, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვეულებრივი ბიზნესისაგან განსხვავებით, სოციალური საწარმო მოგების რეინვესტირებას ახდენს თემში, ან ბიზნესში თავისი სოციალური მიზნების მისაღწევად.

⇒ რატომ არის კონკურსი საინტერესო სტუდენტებისათვის:

პროექტი იძლევა სტუდენტების ცოდნის გაღრმავებისა და მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სხვადასხვა საინტერესო ორგანიზაციასთან, რომლებიც უკვე ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, ან სურთ ამგვარი საქმიანობის წამოწყება, კავშირების დამყარების გზით, კონკურსი სტუდენტების ინტერესის სფეროს გაფართოებას უწყობს ხელს.

უცხოეთში სოციალურ საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო ახალგაზრდების ნოვატორული პოტენციალი სწორედ ის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც საქართველოშიც უნდა იყოს ჩართული ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში.

⇒ კონკურსის განმახორციელებლები:

კონკურსის ორგანიზატორები და განმახორციელებლები არიან „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“. კონკურსი ყოველწლიური ხასიათისაა.

2012–2013 წლების კონკურსებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა უნივერსიტეტებმა: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქართული უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

⇒ კონკურსით გათვალისწინებული ღონისძიებები :

კონკურსი წარმართება თბილისის 4 უმაღლეს სასწავლებელში, რომელთა ბაზაზეც არსებობს ბიზნესის მართვის ფაკულტეტი. უმაღლესი სასწავლებლების შერჩევა მოხდება უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნივერსიტეტებმა უნდა წარმოადგინონ მოტივაციის წერილი, რომელშიც დააფიქსირებენ თავიანთ მზაობას, უზრუნველყონ სტუდენტების მობილიზება და შერჩევა, აგრეთვე შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ფორმით წაახალისონ კონკურსში ჩართული სტუდენტები.

კონკურსში მონაწილე უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის ჩატარდება შემდეგი ღონისძიებები:

- **ერთდღიანი სემინარები.** სემინარების ფარგლებში სფეროს ექსპერტები ახალგაზრდებს სოციალური მეწარმეობის კონცეფციას გააცნობენ. სემინარზე ასევე საუბარი იქნება როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს გამოცდილებაზე სოციალური მეწარმეობის კუთხით, განხილული იქნება წარმატებული სოციალური საწარმოების პრაქტიკული მაგალითები. სემინარი ინტერაქტიული ხასიათისაა და გამდიდრებულია ფოტო-ვიდეო მასალით.
- **კონკურსის 2 მიმართულება და ეტაპები.** კონკურსი ორ ეტაპს მოიცავს - შიდასაუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთაშორისი კონკურსები, რომლებიც წარმართება ორი პარალელური მიმართულებით, კერძოდ:

I მიმართულება - არსებული სოციალური საწარმოებისათვის კონკრეტული პრობლემური ამოცანების გადაჭრაზე მიმართული პროექტების შედგენა და შემდგომ, მათი პრაქტიკაში განხორციელება;

II მიმართულება – საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომელსაც სურს ახალი სოციალური საწარმოს დაარსება, სოციალური საწარმოს კონცეფციის და შემდგომ, სრული ბიზნეს-პროექტის შემუშავება. გამარჯვებული პროექტი დაფინანსდება.

- **სტუდენტთა გუნდების ჩამოყალიბება.** სემინარის ჩატარების შემდეგ თითოეულ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდება კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული სტუდენტების 4 კაციანი გუნდები, კონკურსის თითოეულ მიმართულებაზე - 3 გუნდი. ჯამში, თითოეული უნივერსიტეტიდან კონკურსში 6 გუნდი (სულ 24 სტუდენტი) მიიღებს მონაწილეობას. სტუდენტებმა თავად უნდა შეარჩიონ მათთვის საინტერესო საკონკურსო მიმართულება, მოახდინონ გუნდების ფორმირება და რეგისტრაცია ვებ-გვერდზე www.gosocialenterprise.ge

- **გაცნობითი ტური.** სტუდენტთა გუნდებისათვის მოეწყობა გაცნობითი ტური (ე.წ. ბას-ტური), რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ადგილზე გაეცნობიან საქართველოში მოქმედ სოციალურ საწარმოებს, მათ სოციალურ მიზნებს, საქმიანობას და იმ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან მუშაობის პროცესში. ვიზიტის შედეგად, თითოეული უნივერსიტეტის იმ გუნდებისთვის, რომლებმაც საკონკურსოდ აირჩიეს I მიმართულება, შეირჩევა თითო სოციალური საწარმო, რომლის მიერ წამოყენებული პრობლემის გადაჭრას დაუკავშირდება სტუდენტთა ჯგუფების საკონკურსო დავალება.

იმ გუნდებს, რომლებმაც აირჩიეს II მიმართულება, გაცნობითი ტურის შემდეგ შესაძლებლობა ექნებათ შეარჩიონ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია სოციალური საწარმოს დაფუძნებით (საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინასწარი რეგისტრაცია ასევე მოხდება ვებ-გვერდზე www.gosocialenterprise.ge) და მასთან ერთობლივად შეიმუშავონ ახალი საწარმოს ნოვატორული კონცეფცია/ბიზნეს-გეგმა.

- **საკონკურსო დავალება** - საკონკურსო დავალების შესასრულებლად სტუდენტთა ჯგუფებს ექნებათ 2 კვირა. მათი ამოცანა იქნება:

I მიმართულების გუნდებისთვის - შერჩეული სოციალური საწარმოს პრობლემის მოგვარების ბიზნეს-გეგმის/პროექტის მოფიქრება და პრეზენტაციის მომზადება. მოსამზადებელ პერიოდში, სოციალური საწარმოს წარმომადგენელთან შეხვედრისათვის და დამაზუსტებელი კითხვების დასასმელად, თითოეულ ჯგუფს ერთი დღე ექნება.

II მიმართულების გუნდებისთვის – პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სოციალური საწარმოს კონცეფციის/ბიზნეს-გეგმის შემუშავება და პრეზენტაციის მომზადება.

- **შიდასაუნივერსიტეტო კონკურსი.** თითოეულ უნივერსიტეტში მოეწყობა შიდა კონკურსი, რომლის დროსაც ყველა გუნდი გააკეთებს საკუთარი პროექტის პრეზენტაციას. კონკურსის შედეგად, დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი ჟიური თითო უნივერსიტეტიდან შეარჩევს საუკეთესო პროექტებს და როგორც ერთ, ისევე მეორე, მიმართულებაში გამარჯვებულ გუნდს გამოავლენს; შესაბამისად, თითოეულ უნივერსიტეტში 2 გამარჯვებული გუნდი იქნება, რომლებსაც საშუალება მიეცემათ ასპარეზობა მეორე ეტაპზე გააგრძელონ, სადაც შეეჯიბრებიან თავიანთ თანატოლებს სხვა უნივერსიტეტებიდან.

- **უნივერსიტეტთაშორისი კონკურსი** - I საკონკურსო მიმართულებით, შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებული გუნდების პროექტები დაფინანსდება. შემდეგ ეტაპზე, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა სოციალურ საწარმოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, განახორციელონ პროექტში დასახული გეგმა. „ცენტრის“ ექსპერტები სტუდენტებს გაუწევენ აქტიურ დახმარებას ამ პროცესში და ასევე, განახორციელებენ პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს. პროექტების დასრულების შემდგომ, ჟიურის მიერ ასევე შეფასდება მიღწეული შედეგები და მათი შესაბამისობა დასახულ გეგმასთან.

II საკონკურსო მიმართულებით, შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებული გუნდები მათ მიერ შემუშავებულ ბიზნეს-გეგმის კონცეფციას ამუშავებენ უფრო დეტალურად და შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის მსვლელობისას, ჟიურის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტთაშორის კონკურსზე დასრულებულ ბიზნეს პროექტს წარმოადგენენ.

- **კონკურსის დასკვნითი ღონისძიება.** შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის I მიმართულებაში გამარჯვებული გუნდები წარმოადგენენ მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგებს და საუკეთესოდ შესრულებული პროექტი დაჯილდოვდება.

შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის II მიმართულებაში გამარჯვებული გუნდები პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული სოციალური საწარმოების ბიზნეს-პროექტების პრეზენტაციას გააკეთებენ. ჟიური შეარჩევს საუკეთესო ბიზნეს-პროექტს და გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს, რომელიც დაჯილდოვდება. ამასთან ერთად, გამარჯვებული გუნდის პარტნიორი

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით განახორციელებს სოციალური საწარმოს პროექტს.

- **კონკურსის ვებ-გვერდი - www.gosocialenterprise.ge.** მონაწილეებს, აგრეთვე მათ გულშემატკივრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, საგანგებოდ შექმნილი ვებ-გვერდის მეშვეობით, თვალყური ადევნონ როგორც უშუალოდ კონკურსის მიმდინარეობას, ისე მიიღონ სხვა დამატებითი ინფორმაცია, გაეცნონ სიახლეებს და ა.შ. ვებ-გვერდი იქნება ინტერაქტიური და შესაბამისად, გუნდებს შესაძლებლობა ექნებათ ატვირთონ თავიანთი მონაცემები, შესრულებული დავალებები, ხოლო გულშემატკივრებს და დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ შეაფასონ კონკურსის მონაწილეების მიერ გაწეული საქმიანობა.